სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

# საშემსრულებლო ხელოვნება

სპეციალობები: კლავიშიანი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო საკრავები (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი), აკადემიური გუნდის დირიჟორობა.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელები:
კლავიშიანი საკრავების სპეციალობით – ასოც. პროფესორი ბეჟან ნამგლაძე;
სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობით – ასოც. პროფესორი სვეტლანა ეგოროვა;
საორკესტრო საკრავების სპეციალობით - ასოც. პროფესორი მერი ჟვანია;
აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით – ასოც. პროფესორი შალვა მოსიძე

პროგრამის მიზანი:
საშემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის მიზანია კლავიშიანი, საორკესტრო საკრავებისა და სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობით სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სოლისტი, მუსიკოს - შემსრულებლის მომზადება. აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე - აკადემიური გუნდის დირიჟორის მომზადება.
სამუსიკო ხელოვნების მაგისტრს შეუძლია მოღვაწეობა გააგრძელოს შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საშემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადენიური სამუსიკო განათლების მქონე პირები.
პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს საშემსრულებლო ხელოვნების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქვს სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მუსიკალური ნაწარმოებების საკონცერტო სოლო/ანსამბლური შესრულების გამოცდიელება;
- დახვეწილი აქვს საანსამბლო მუსიცირების ფორმები;
- საფუძვლიანად იცნობს არჩეული სპეციალობის (სოლო, საანსამბლო, საორკესტრო, საგუნდო, საოპერო) რეპერტუარს;
- აქვს სამუსიკო ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის უახლესი შემოქმედებით-პრაქტიკული და კვლევაზე ორიენტირებული ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქვს სამეცნიერო კვლევის საფუძვლების სისტემური ცოდნა;
- აქვს სამუსიკო ხელოვნების დარგის უახლესი მუსიკის თეორიის, თანამედროვე მუსიკალური თეატრის, თანამედროვე ნოტაციის, თანამედრიოვე შემსრულებლობის საკითხების ღრმა ცოდნა;
- გააჩნია ღრმა ცოდნა ჰუმანიტარული საგნების სფეროში.
- აცნობიერებს საშემსრულებლო ხელოვნების, როგორც დარგის, საერთო სტრუქტურასა და მის ურთიერთკავშირს სხვა მუსიკალურ დარგებთან;
- აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით კურსდამთავრებულს დახვეწილი აქვს სადირიჟორო ტექნიკა და გუნდთან მუშაობის პრაქტიკული ხერხები;
- გააჩნია აკადემიური გუნდის ორგანიზების და მართვის ცოდნა;
- საორკესტრო საკრავების სპეციალობით კურსდამთავრებულს გაღრმავებული აქვს საორკესტრო მუსიცირების ჩვევები;
- სოლო აკადემიური სიმღერის სპეციალობით კურსდამთავრებულს გაღრმავებული აქვს საოპერო სპექტაკლში მონაწილეობის ჩვევები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კურსდამთავრებულს აქვს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკის (სოლო, საანსამბლო, საორკესტრო, საოპერო რეპერტუარი) მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულების უნარი;
- აქვს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკის ჟანრულ და ენობრივ თავისებურებებში (მათ შორის მუსიკალური ნაწარმოებების თვითმყოფადი ინტერპრეტაციის რაკურსში) დამოუკიდებლად გარკვევის და გააანალიზების უნარი;
- შეუძლია შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება ხელმძღვანელის წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით;
- შეუძლია მხატვრული და საორგანიზაციო ამოცანების დასახვა და მათი განხორციელებისათვის პრაქტიკული გზების მოძიება;
- აქვს უნარი მოამზადოს და მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულოს საკონცერტო პროგრამა;
- აქვს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკის ჟანრულ და ენობრივი თავისებურებებზე პროფესიული მსჯელობის უნარი;
- შეუძლია სამეცნიერო კვლევამე ორიენტირებული ხასიათის სამუშაოს შესრულება ხელმძღვანელის წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით;

- საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის კურსდამთავრებული დაიცავს პროფესორის ხელმძღვანელობით შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს;
- აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით კურსდამთავრებული შეიძენს აკადემიური გუნდთან დამოუკიდებელი სარეპეტიციო საქმიანობის, ხელმძღვანელობის საჭირო უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს;
- შეიძენს მომდევნო საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს.

დასკვნის უნარი

- აქვს შემოქმედებითი პრობლემების ანალიზის და დამოუკიდებლად მათი გადაწყვეტის უნარი;
- აქვს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვისი შესრულების შეფასება;
- გააჩნია ნაწარმოებების სხვადასხვა რედაქციისა და საშემსრულებლო ინტერპრეტაციის შეჯერების საფუძველზე ინდივიდუალური კონცეფციის შექმნის უნარი;
- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი და ანალიზის შედეგების პროფესიული მიწოდება;
- შეუძლია საშემსრულებლო ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის უახლეს მონაცემებზე და კონცეფციაბზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის სინთეზი;
- აქვს აზროვნების მაღალი კულტურა, განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების, სისტემატიზაციის, პროგნოზირების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში უპირატეს მედიალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს თვით ხელოვნების ენა, მსმენელთან დამყარებული ემოციური უკუკავშირი მუსიკალური ნაწარმოების საკონცერტო შესრულების დროს;
- კურსდამთავრებულს აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კოლეგიალური მუშაობის უნარი;
- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი , დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- აქვს სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან) კომუნიკაციის უნარი;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში;
- საკომუნიკაციო დონეზე ფლობს ერთ უცხო ენას (გააჩნია უცხო ენაზე სამეცნიერო ტექსტების თარგმნის და შედგენის უნარი).

სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს;
- აქვს უნარი თავად დაგეგმოს სწავლის სტრატეგია და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი;
- აქვს თვითგანათლების, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- აქვს საშემსრულებლო ხელოვნების რესურსების ფართო სპექტრის გამოყენების, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
- შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.

ღირებულებები

- აქვს შემოქმედებითი და მაღალი მხატვრული ღირებულებანი, ზრუნავს მათ განვითარებაზე და შესწევს უნარი თავისი წვლილი შეტანოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში;
- კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები, ნებისმიერ სიტუაციაში იცავს ამ ნორმებს;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდებისორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება საშემსრულებლო ხელოვნების დარგისა და შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს. სპეციალობის ძირითად მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესწავლა საშემსრულებლო-შემოქმედებითი ამოცანების თანდათანობით გართულებას და უწყვეტი სწავლების მეთოდს ეფუძნება.

სწავლების პროცესში გამოიყენება აგრეთვე შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (ღია, კლასის, სოლო კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (საკონცერტო დარბაზი);

- საშემსრულებლო ხელოვნების დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;
- შემოქმედებითი პროექტებით კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სასწავლო გეგმა

| № | სასწავლო კურსის დასახელება | კლავიშიანი საკრავები | | სოლო აკადემიური სიმღერა | | სიმებიანი საკრავები | | ჩასაბერი, დასარტყამი საკრავები | | აკადემიური გუნდის დირიჟორობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სთ | კრ | სთ | კრ | სთ | კრ | სთ | კრ | სთ | კრ |
| სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი | | | | | | | | | | | |
| 1. | სპეციალობის კლასის მოდული<br>სპეც. კლასი K;<br>სპეც. კლასი V; სპეც. კლასი S;<br>სპეც. კლასი W/P<br>სპეც. კლასი CHO | 180 | 68 | 240 | 50 | 180 | 56 | 180 | 58 | | |
| 2. | კამერული სიმღერა | | | 53 | 15 | | | | | | |
| 3. | დირიჟორობა | | | | | | | | | 140 | 46 |
| 4. | საგუნდო კლასი | | | | | | | | | 540 | 36 |
| 5. | საკონცერტმაისტერო კლასი | | | | | | | | | 30 | 4 |
| 6. | სიმფონიური დირიჟორობა | | | | | | | | | 15 | 2 |
| 7. | თანამედროვე საგუნდო ლიტერატურა | | | | | | | | | 30 | 4 |
| 8. | საგუნდო ვოკალი | | | | | | | | | 25 | 3 |
| 9. | საკონცერტმაისტერო დაოსტატების კლასი | 80 | 10 | | | | | | | | |
| 10. | კამერული ანსამბლის კლასი | 80 | 10 | | | 80 | 10 | 80 | 10 | | |
| 11. | საკვარტეტო კლასი | | | | | 80 | 10 | | | | |
| 12. | სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი | | | | | | | 58 | 7 | | |
| 13. | საორკესტრო კლასი | | | | | 360 | 20 | 360 | 20 | | |
| 14. | საოპერო სტუდია | | | 180 | 28 | | | | | | |
| 15. | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | 10 | 30 | 10 | 30 | 10 | 30 | 10 | 30 | 10 |
| 16. | კვლევის საფუძვლები | 15 | 2 | 15 | 2 | 15 | 2 | 15 | 2 | 15 | 2 |
| ზოგადი სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი | | | | | | | | | | | |
| 17. | XX ს-ის მუს. ფორმები | 30 | 6 | | | 30 | 6 | | | 30 | 6 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18. | თანამედროვე მუს. თეატრი (სემინარი) | | | 30 | 4 | | | | | | |
| 19. | თანამედროვე მუსიკის შემსრულებლობა II | 30 | 4 | | | | | | | | |
| 20. | სემინარი თანამედროვე მუსიკაში | | | | | | | 30 | 6 | | |
| 21. | თანამედროვე ნოტაცია | 15 | 3 | 15 | 3 | 15 | 3 | 15 | 3 | 15 | 3 |
| ჰუმანიტარული სასწავლო კურსების ბლოკი | | | | | | | | | | | |
| 22. | აკადემიური წერა | 15 | 2 | 15 | 2 | 15 | 2 | 15 | 2 | 15 | 2 |
| 23. | კულტუროლოგია | 30 | 2 | 30 | 2 | 30 | 2 | 30 | 2 | 30 | 2 |
| 24. | იტალიური ენა | | | 30 | 2 | | | | | | |
| 25. | გერმანული ენა | | | 30 | 2 | | | | | | |
| 26. | არჩევითი საგნები | 30 | 3 | | | | | | | | |
| 27. | საათების, კრედიტებიეს ჯამი | 535 | 120 | 668 | 120 | 835 | 121 | 813 | 120 | 915 | 120 |

1. სასწავლო გეგმაში ასახულია მხოლოდ საკონტაქტო საათები. სტუდენტის დატვისთვის სხვა ფორმები იხ. შესაბამისი საგნის სილაბუსში/მინიმალურ სტანდარტში.

2. არჩევით საგნებზე გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლის, ან სხვადასხვა სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის გზით. 240 კრედიტის ზევით სტუდენტის მიერ სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მოპოვებული კრედიტები ასახვას ჰპოვებს დიპლომის დანართში.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

| ქულები | ქულების ასოითი აღნიშვნა | შეფასების აღნიშვნა |
|---|---|---|
| 91 – 100 | A | ფრიადი |
| 81 – 90 | B | ძალიან კარგი |
| 71 – 80 | C | კარგი |
| 61 – 70 | D | დამაკმაყოფილებელი |
| 51 – 60 | E | საკმარისი |
| 41 – 50 | FX | ვერ ჩააბარა |
| 0 – 40 | F | ჩაიჭრა |

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამინაური რესურსები

საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია სანიტარული და ხანზარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა ) სასწავლო აუდიტორიები,ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია, ბიბლიოთეკები, ფონოთეკა.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი
კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია
პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.